კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	4-ე კლასი (კლასში არის 9 მოსწავლე)
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	განხილული იქნა ნათია აბულაძის მცირე ზომის მოთხრობა ,,ფერმერი და ქურდი მეჯინიბე“; მოსწავლეებს შევთავაზეთ შეექმნათ მოთხრობის ალტერნატიული ვერსია წინასწარი დათქმებით, რომლებიც უკავშირდებოდა ფინანსურ განათლებას
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	განხორციელებული აქტივობები ემსახურებოდა ფინანსური განათლების თემების - ბიუჯეტირების და დაზღვევის განხილვას, მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებას
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	განხორციელებული აქტივობების დროს გამოყენებული იქნა რამდენიმე სასწავლო მეთოდი : • შემთხვევის განხილვა; • გონებრივი იერიში; • დაფიქრდი, დაწყვილდი, გააზიარე; • მინიატურული ესე; • დისკუსია (კითხვა-პასუხის ფორმატში) რესურსები მოსწავლეებს მიეწოდებოდათ წინასწარ, საკლასო ოთახში ხდებოდა მათი განხილვა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი განმარტებების მიცემა მოსწავლეებისთვის.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	**აქტივობა 1 - კითხვა - პასუხი (15 წთ)** *მოსწავლეებმა წაიკითხეს მოთხრობა, მოთხრობის უკეთ გააზრების მიზნით უპასუხეს შეკითხვებს :* ➢ *ვისზეა ეს მოთხრობა?* ➢ *როგორი ადამიანი იყო მოთხრობის მთავარი გმირი? რატომ ფიქრობ ასე? შენი მოსაზრებები განამტკიცე ფერმერის კონკრეტული მოქმედებებით.* ➢ *რა ზარალი განიცადა ფერმერმა? ვის გამო მოხდა ეს?* ➢ *რა ზომებს მიმართა ფერმერმა? როგორ ფიქრობ, საკმარისი იყო ფერმერის მიერ გატარებული ღონისძიებები? რა შეიძლებოდა მას დამატებით გაეკეთებინა?* ➢ *როგორ იპოვა ფერმერმა დამნაშავე? როგორ ფიქრობ, ფერმერი ასე განგებ მოიქცა, თუ უნებლიედ გამოუვიდა?* **აქტივობა 2 - ვერბალური ახსნა (5 წთ)** *მოსწავლეებს ავუხსენით, რომ მათ თავად უნდა შექმნან ამ მოთხრობის ალტერნატიული ვერსია, სადაც შენარჩუნებული იქნება მოთხრობის მთავარი ფაბულა - სამართლიანი და ეფექტური ფერმერი და ქურდი დაქირავებული, თუმცა დაემატება ფინანსების მოძიების და ეფექტური მართვის ახალი კონკრეტული დეტალები, ამასთანავე ფერმერს დაზღვეული უნდა ჰქონდეს თავისი ბიზნესი, რაც გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს მოთხრობის ფაბულაში.* **აქტივობა 3 - გონებრივი იერიში (5 წთ)** *დაფაზე დავწერეთ „მცირე მეწარმე“ და მოსწავლეების დავუსვით შეკითხვა - რა იციან მცირე მეწარმეობის შესახებ და რა კავშირშია ის წაწარმოების გმირ ფერმერთან?* **აქტივობა 4 - დაფიქრდი, დაწყვილდი, გააზიარე (20 წთ)** *მოსწავლეებმა ჯერ დამოუკიდებლად წაიკითხეს ინფორმაცია მცირე მეწარმეობის შესახებ, ხოლო შემდეგ მეწყვილესთან ერთად მასწავლებლის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების და სამუშაო ფურცლის დახმარებით ვთხოვეთ მოეფიქრებინათ „ბიზნეს-გეგმა“ კონკრეტული მონაცემების გამოყენებით (საჭირო თანხა, თანხის განაწილება, საქმიანობის დაგეგმვა დროის გარკვეულ მონაკვეთში, სავარაუდო მოგება .....).* ➢ *რა გაიგე მცირე მეწარმეობის შესახებ?* ➢ *როგორ შეიძლება დაიწყო და მართო ბიზნესი?* ➢ *რა ბიზნეს-იდეა გაგიჩნდა? რატომ? რასთან არის დაკავშირებული შენი ბიზნეს იდეა?*

- *რა შეიცვალა მეწყვილესთან თანამშრომლობის შემდეგ? რა ახალი იდეები მოგაწოდა მეწყვილემ? რა მოსაზრებები გამოთქვი შენ?*
- *როგორ ფიქრობ, რამდენად რეალურია თქვენი ბიზნეს-იდეა?*

აქტივობა 5 - შექმენი მინიატურა (25 წთ)

მოსწავლეები მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსის (ფინედუს მოდიფიცირებული სტატია დაზღვევის შესახებ) მეშვეობით კითხვა-პასუხის რეჟიმში გაეცნობიან ინფორმაციებს დაზღვევის შესახებ, ყურადღება გამახვილდება მთავარ ტერმინებზე.

- *რა გაიგე დაზღვევის შესახებ?*
- *როგორ ფიქრობ, არის თუ არა დაზღვევაში გადახდილი თანხა ზედმეტი ხარჯი?*
- *რა რისკები ახლავს დაზღვევის გარეშე მეწარმეობის სფეროში საქმიანობას?*
- *როგორ ფიქრობ, არსებული საფრთხეების მიუხედავად რატომ საქმიანობს ბევრი მცირე მეწარმე დაზღვევის გარეშე?*

მასწავლებელის თხოვნით მოსწავლეებმა მოიგონონ პატარა ამბავი დაზღვევის შესახებ, რომელშიც ადეკვატურად გამოიყენეს დაზღვევასთან დაკავშირებული მთავარი ტერმინები.

აქტივობა 6 - კითხვა-პასუხი (20 წთ)

მოსწავლეებს შევახსენეთ, რომ მათ უნდა დაწერონ ახალი მოთხრობა დამატებითი დეტალებით და შეცვლილი ფაბულით. კითხვა-პასუხის ფორმატში განვიხილეთ მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხი და ვუპასუხეთ მათ შემხვედრ შეკითხვებს, რაც დაეხმარა მათ ახალი მოთხრობის დაწერაში დათქმული პირობით და თავიანთი ფანტაზიით.

მთავარი კითხვები

- *როგორ დაიწყო ფერმერმა თავისი საქმიანობა? რა ინფორმაცია შეიძლება დაემატოს თქვენს მოთხრობაში?*
- *როგორ მიაღწია მან წარმატებას მოთხრობაში? რას დაამატებთ თქვენს მოთხრობაში?*
- *რითი ახსნი ერთ-ერთი დაქირავებულის მიერ ხელფასის მომატების მოთხოვნას?*
- *როგორ ფიქრობ, რაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ დანარჩენმა დაქირავებულებმა მხარი არ დაუჭირეს ხელფასის მოთხოვნის მიზნით გაფიცვას?*
- *როგორ ახსნი ხელფასის გაზრდის მსურველი მეჯინიბის მიერ ხბოების მოპარვის ფაქტს?*
- *რას შეცვლის თქვენს მოთხრობაში ის გარემოება, რომ მეწარმეს დაზღვეული ჰქონდა თავისი ბიზნესი?*

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	მოსწავლეებმა უკეთ გაიგეს ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. მაგ; ყოველგვარი საქმიანობა იწყება დაგეგმვით, გაიაზრეს რას ნიშნავს ხარჯი, შემოსავალი, მოგება. მოსწავლეებმა აიმაღლეს თავიანთი ცოდნა დაზღვევის შესახებ, გაითავისეს ტერმნების : მზღვეველი, დაზღვეული, სადაზღვევო პოლისი, მნიშვნელობა. აქტივობების მსვლელობისას მოსწავლეებმა ამოიცნეს მათთვის უკვე ნაცნობი გარემოებები და გაამდიდრეს ის ახალი ცოდნით. მოსწავლეების მიერ ახალი ინფორმაციების გააზრება ხდებოდა ინტერაქტიურად და ფიქსირდებოდა სხვადასხვა ფორმით : კითხვებზე პასუხების გაცემით, ინდივინდუალურად და მეწყვილესთან ერთად წარმოდგენილი პრეზენტაციებით, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით (წაკითხული მოთხრობის საფუძველზე ახალი ინფორმაციების დამატებით საკუთარი მოთხრობის შექმნა).